აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#01-04/8

10.02.2021

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1, 2010 წლის 25 სექტემბრის №9(10/11), 2013 წლის 3 ოქტომბრის №8(13/14) დადგენილებების შესაბამისად ვბრძანებ:

1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდეს საინჟინრო - ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე.
2. არჩევნები ჩატარდეს 2021 წლის 2 მარტს 12 საათიდან 16 საათამდე.
3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2021 წლის 15 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით 12 საათიდან 15 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.
5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ)ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.
7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანს.

8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურს.
9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 3 მარტის ჩათვლით 16 საათამდე.
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორი პროფ. როლანდ კოპალიანი

აწსუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე : მინდია ბერეკაშვილი